# თავისუფალი საქართველო

№23

20-26 ოქტომბერი

1995 წ.

ფასი 5 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არჩევნების ბოიკოტი ჩვენი კანონიერი უფლებაა

არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადება ისეთივე უფლებაა ნებისმიერი მოქალაქისა, როგორიც თავად ხელისუფლების არჩევის უფლება. პიროვნების თუ ორგანიზაციის მიერ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების (ჩვენი აზრით, უკანონო) კანონებითაც, რომელთა თანახმად არჩევნები ჩატარებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარი მაინც. ამდენად, უკვე ამით აღიარებულია არჩევნებში მონაწილეობის ნებაყოფლობითი ხასიათი და არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადება არ შეიძლება იქნეს დასჯილი ხელისუფლების მიერ.

პირიქით, არჩევნებში იძულებითი მონაწილეობა, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან ამომრჩევლებზე ძალდატანება წარმოადგენს საერთაშორისო ნორმებისა და ადამიანის საყოველთაო უფლებების უხეშ დარღვევას. ხელისუფლებისგან მომდინარე ყოველი მუქარა ბოიკოტის მომხრეთა მიმართ რეპრესიული ზომების მიღების თაობაზე, განხილულ უნდა იქნეს როგორც კანონდარღვევა.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პიროვნებას, რომელსაც განზრახული აქვს ბოიკოტი გამოუცხადოს არჩევნებს, რომ ამ მოტივით მათ მიმართ გატარებული რეპრესიების შემთხვევაში საჩივრები შეიტანონ, როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (დადიანის ქ.N5, კომისიის თავმჯდომარის ივანე კილურაძის სახელზე), ასევე OSCE - ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროში (გოგებაშვილის ქ.N36, არჩევნების კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელის, ერნესტ დე ლამინის სახელზე), აგრეთვე, ამ კანონდარღვევებთან დაკავშირებით აღძრან სარჩელი ადგილობრივ სასამართლო ორგანოებში. ეს აუცილებელია არა მხოლოდ ბოიკოტის ეფექტური განხორციელებისთვის, არამედ შემდგომშიც ჩვენი მოქალაქეობრივი უფლებების უზრუნველსაყოფად და ხელისუფლების თვითნებობის ასალაგმავად.

ქართველმა ხალხმა უნდა აიძულოს მმართველი რეჟიმი პატივი სცეს მის აზრსა და ნებას!

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის**
**ადამიანის უფლებათა კომისია**

## კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარის მუხრან მაჭავარიანის განცხადება

მე ოფიციალურად ვაცხადებ, [illegible] მიერ [illegible] არჩევნებში კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება [illegible] მონაწილეობას.

ჩემი [illegible] საზოგადოების [illegible] არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ამის გამო მე ვტოვებ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარის თანამდებობას.

მუხრან მაჭავარიანი

15 ოქტომბერი
1995 წ.
თბილისი

## "მუზა" პოლიტიკურ ცვლილებათა ფონზე

ომ ავადმოსაგონარ უძრაობის წლებში ფილარმონიასთან მდებარე სასტუმრო "მუზას" კედელს ბრეჟნევის უზარმაზარი სურათი ამშვენებდა. ეს ტილო ძალზე ზუსტად შეესაბამებოდა საბჭოთა საქართველოს მაჯისცემას, მის იდეოლოგიას...

მერე, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ამ სურათის ადგილი ახალმა პანომ დაიკავა. მასზე მოჩუქურთმებული ქართული ასომთავრული იყო გამოსახული... და ეს სურათიც ზუსტად გამოხატავდა ქვეყნის სუნთქვას. ამ პატარა დეტალიდანაც კარგად ჩანდა, რომ საქართველო სხვა, ახალ გზას დაადგა. ქართველმა ერმა დაიწყო "მამულისა ჩვეულებისამებრ სვლა"...

დღეს სასტუმრო "მუზას" კედელზე ქართული ანბანის ადგილი ახალმა, გაუგებარი შინაარსის და მხატვრული ღირებულების მქონე ფერწერულმა ტილომ დაიკავა, რომელიც, თუ გუმანი და ფანტაზია არ გვღალატობს, "კოკა-კოლას" რეკლამას უნდა განასახიერებდეს...

ასე უხმოდ, უკვალოდ ქრება ჩვენი ყოფიდან და ცნობიერებიდან ქართული ანბანი, ქართული სიტყვა, ქართული წიგნი, ქართული ტაძარი, ქართული სიმღერა, ქართული დროშა... დავიწყების წიაღს უბრუნდება სიმწრითა და სისხლით, ტანჯვითა და ცრემლით დაბრუნებული ქართული სული, ჭეშმარიტი ქართული კულტურა, ჩვენი სულიერი საგანძური, საერთოდ ყველაფერი ეროვნული, მშობლიური...

ასე ნელ-ნელა "ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა"...

## სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის განცხადება

### მოვითხოვთ სიკვდილით დასჯის გაუქმებას

უაღრესად შეშფოთებულნი ვართ იმის გამო, რომ საქართველოში აგრერიგად გახშირდა სასჯელის განსაკუთრებული ზომის გამოყენების ფაქტები სასამართლოს მიერ. სიკვდილით დასჯა მიგვაჩნია ანტიადამიანურ, ანტიქრისტიანულ მოვლენად. რიგ შემთხვევებში, ასეთი განაჩენის გამოტანისას ირღვევა საერთაშორისო სამართლით აღიარებული საყოველთაო ნორმები (კერძოდ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მუხლი 6).

ჩვენი აზრით, ეს საშინელი მოვლენა უნდა შეფასდეს, როგორც ადამიანთა მკვლელობა თავად სახელმწიფოს მიერ, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლება და საზოგადოება შორს დგას სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისგან.

დაბეჯითებით მოვითხოვთ სასჯელის უმაღლესი ზომის - სიკვდილით დასჯის გაუქმებას და მოვუწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ ადამიანის უმთავრესი უფლების - სიცოცხლის ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად საქართველოში.

*ასოციაციის პრეზიდენტი*
*გიორგი კერვალიშვილი*

**მკითხველთა საყურადღებოდ:**

**წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთი «თავისუფალი საქართველო« გაიყიდება ფასდაკლებით**

# ევროპიდან დანახული საქართველო

## წინასაარჩევნო პერიოდში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს

ა.წ. 2-19 ოქტომბერს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მიმდინარეობდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო-OSCE) საანგარიშო სხდომა ადამიანურ განზომილებათა საკითხებზე. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ევროთათბირის მონაწილე ქვეყნების ოფიციალური დელეგაციები და, აგრეთვე, მრავალი საერთაშორისო ჰუმანიტარული და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პლენარულ სხდომებზე განიხილებოდა ევროთათბირის მონაწილე ქვეყნებში ადამიანის უფლებათა, ეროვნულ უმცირესობათა , სიტყვისა და პრესის თავისუფლების, კანონის უზენაესობის და სხვა ადამიანურ განზომილებათა მდგომარეობა.

11 ოქტომბრის სხდომაზე ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტის წარმომადგენელმა ბ-ნმა კოენ სტარკმა წაიკითხა ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის (IHF) და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიერ მომზადებული მიმოხილვა (რომელსაც ოფიციალურ ინგლისურ ენაზე ეწოდება Intervention) საქართველოში კანონის უზენაესობის მდგომარეობის შესახებ, რომელმაც სხდომის მონაწილე დელეგაციათა და ორგანიზაციათა დიდი ინტერესი გამოიწვია. (ამ დოკუმენტის ტექსტს ქვემოთ გთავაზობთ). ეს დოკუმენტი დაურიგდა სხდომის მონაწილე ყველა ოფიციალურ დელეგაციასა და ორგანიზაციას.

გარდა ამისა, 13 ოქტომბერს ერთ-ერთ სხდომათა დარბაზში, საქართველოს საკითხით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებთან შეხვედრა მოაწყო ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტმა. ამ უკანასკნელის ოფიციალური მისია ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის მანდატით 5-დან12 ოქტომბრამდე იმყოფებოდა საქართველოში წინასაარჩევნო ვითარების შესასწავლად. ამ ვიზიტის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები ანგარიშის სახით იქნა გაცნობილი დამსწრე, პირებისა და ორგანიზაციებისთვის. მის დასკვნით ნაწილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ "საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ბადებს საფუძველს სერიოზული შეშფოთებისთვის. არსებობს მზარდი უნდობლობა ხელისუფლების მიმართ, რაც გაპირობებულია ოპონენტთა დაპატიმრებით, მათ წინააღმდეგ უხეში მეთოდების გამოყენებით, იმ კონსტიტუციური მოცემულობით, რომელიც მთელ ძალაუფლებას აქცევს აღმასრულებელი ადმინისტრაციის ხელში, განსაკუთრებით კი ადგილობრივი მმართველობის დონეზე. ამის საპასუხოდ არჩევნები საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან დაკვირვებულ მეთვალყურეობას საჭიროებს, სანამ გამოტანილი იქნება რაიმე სახის დასკვნა ამ არჩევნების კანონიერად ცნობის შესახებ."

ეს ანგარიში, გარდა იმისა, რომ დაურიგდა სხდომის მონაწილე დელეგატებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, იგი, აგრეთვე, დაეგზავნება საქართველოში 5 ნოემბრის არჩევნებზე დამსწრე ყველა საერთაშორისო დამკვირვებელს.

ვარშავაში გამართულმა ეუთო-ს სხდომამ კიდევ ერთხელ აჩვენა საერთაშორისო ორგანიზაციების მზარდი ინტერესი და შეშფოთება საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი.

# მიმოხილვა

## ეუთო-ს საანგარიშო სხდომაზე ადამიანურ განზომილებათა საკითხების გარშემო

### ვარშავა, 2-19 ოქტომბერი, 1995

### ადამიანის უფლებათა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის წარდგინებით

საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დრამატულად გაუარესდა 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, როდესაც განდევნილ იქნა დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება. რეგიონში წარმოებული გამოკვლევის შედეგებმა, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებმა, სამწუხაროდ, გვიჩვენა, რომ საქართველოში საქმე გვაქვს ეუთის მიმართ აღებულ ვალდებულებათა იგნორირებასთან. ჩვენ აქ დავინახეთ დაუყოვნებელი რეაგირებისა და ჩარევის აუცილებლობა, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

კოპენჰაგენის დოკუმენტების თანახმად, ყველა ხელისმომწერი სახელმწიფო ცნობს პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის ფუძემდებლურ პრინციპს, რაც აუცილებელია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განახორციელებლად.

კოპენჰაგენის დოკუმენტების ხელისმომწერი სახელმწიფოები ადასტურებენ თავიანთ შეთანხმებას თავისუფალ არჩევნებსა და კანონიერებაზე დაყრდნობით განახორციელონ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა. ვითვალისწინებთ რა 5 ნოემბრის მოახლოებული არჩევნების ფონზე შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას ადამიანის უფლებათა სფეროში, აუცილებლად მიგვაჩნია არჩევნების ჩატარება საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უნდა გაშუქდეს მანამ, სანამ დამკვირვებლები თავის თავზე აიღებდნენ პასუხისმგებლობას დაასკვნან ნამდვილად თავისუფალი და სამართლიანი იყო თუ არა არჩევნები.

ამ ვითარების გათვალისწინებით, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტმა და ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციამ წარგზავნა ფაქტების დამდგენი მისია საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლის უფლებამოსილებით, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კონტექსტის გათვალისწინებით. ფაქტების დამდგენი მისია მუშაობდა 5-დან 12 ოქტომბრამდე. კვლევის რეზულტატი ამ თვის ბოლო კვირის შეხვედრაზე იქნება წარმოდგენილი.

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი მიესალმება ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ბიუროს ინიციატივას წინასაარჩევნო პერიოდის გასაშუქებლად დამკვირვებელთა ჯგუფების შედგენის თაობაზე . ფაქტების დამდგენი მისია მჭიდროდ ითანამშრომლებს როგორც დამკვირვებელთა ბრიგადებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლებთან.

პოლიტიკურმა და სხვა არასამართლებრივმა მკვლელობებმა მასობრივი ხასიათი მიიღო 1992 წლის იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. მშვიდობიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების მონაწილეებს ქუჩაში ესროდნენ ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლები. ბოლო 3-4 წლის მანძილზე თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ასობით მოქალაქე იქნა მოკლული. ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა უკვალოდ გაუჩინარებას. ფართო საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები არ ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა კონკრეტულ პირობებში ხდებოდა ადამიანების დაკარგვა. ამგვარი ფაქტების რაოდენობა იზრდება და ხელისუფლება ამას მზარდი კრიმინალური სიტუაციით ხსნის. დღემდე უცნობია უამრავი ქართველისა და აფხაზის ბედი, რომლებიც 1992 წლის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად არიან დაკარგულნი. წამებისა და სხვა არაჰუმანური, უხეში ძალისმიერი ზემოქმედების ფაქტებიც ხშირია დღევანდელ საქართველოში. საქართველოს ხელისუფლება ცნობს, რომ ძალისმიერი სამსახურების მხრიდან ჩვეულებრივი მოვლენაა პატიმართა ცემა, მათზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა ინფორმაციის და აღიარების გამოძალვის მიზნით, განსაკუთრებით კი გამოძიების პროცესში. სასამართლო პროცესის პერიოდში განსასჯელთა ფიზიკური დამუშავების შემთხვევები უფრო იშვიათია.

უკანონო დაკავება-დაპატიმრებები, ღვენა საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა 1992 წლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ გააუქმა საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობა, პარლამენტს ჯერაც არ მიუღია ახალი კანონები დაპატიმრებისა და დაკავების პროცედურის შესახებ. პატიმრობაში აყვანილი მოქალაქეები არიან უბრალო სამოქალაქო პირები, რომლებიც მიტინგებსა და დემონსტრაციებში იღებდნენ მონაწილეობას, ან ჩვეულებრივი გამვლელები, რომლებიც შემთხვევით აღმოჩდნენ დემონსტრაციის ადგილას. მათ სცემენ ქუჩაშიც და პოლიციის განყოფილებებშიც ხელისუფლების სამსახურში მყოფი პირები ან მთავრობის მომხრე მოქალაქენი. ისინი, ჩვეულებრივ, პოლიციასთან ერთად მოქმედებენ.

1995 წლის 26 მაისს 110 კაცი დააკავეს თბილისის ცენტრში. ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით იყვნენ გამოსული ქუჩაში, ბევრი მათგანი სასტიკად სცემეს.

კანონის თანახმად, ბრალმდებელმა 72 საათის განმავლობაში უნდა წარადგინოს ბრალდება. მიუხედავად ამისა, ხშირად დაკავებულნი ერთი წლის განმავლობაში იმყოფებიან საპატიმროებში ოფიციალური ბრალდების წარდგენის მოლოდინში. მუდმივი პოლიტიკური არასტაბილურობა და უკანონობა ეჭვის ქვეშ აყენებს ყოველგვარ სერიოზულ მცდელობას საქართველოში აღსრულდეს კანონი.

სწორედ ამის შედეგია არასტაბილური, მოჩვენებითი კანონიერება.

საერთაშორისო დამკვირვებლებისა და იურისტების აზრით, უდანაშაულობის პრეზუმპცია ირღვევა. ასევე ირღვევა დაცვის უფლება. ხშირად პატიმრებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ უნიშნავენ ადვოკატებს. პრაქტიკულად კანონიერი სასამართლო პროცესი გამონაკლისი უფროა, ვიდრე ნორმა - საბჭოთა პერიოდის მოხელეებით დაკომპლექტებული სამართლებრივი ინსტიტუტის არაკომპეტენტურობისა და კორუფციის წყალობით. სასამართლო პროცესები არ მიმდინარეობს ურთიერთდაპირისპირების მეთოდით, ბევრი მოსამართლე იღებს ქრთამს, ამასთან ერთად, ემორჩილება მითითებებს, რომლებიც მომდინარეობს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში გაწევრიანებული, ასევე მის გარეთ მყოფ პირთაგან. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს საქმე № 7493810 აღძრული 19 პოლიტპატიმრის წინააღმდეგ. პროკურორმა, კანონიერების გვერდის ავლით, სასამართლოზე წარადგინა ჩვენებები, რომლებიც მიღებული იყო წამებისა და ფიზიკური ზეწოლის გზით. . 12 განსასჯელი საერთოდ არ ესწრებოდა სასამართლო პროცესს, მათგან მხოლოდ 4-ს ჰყავდა საკუთარი ადვოკატი. ორ მათგანს - ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანს - სიკვდილი მიუსაჯეს. ამ ორი სიკვდილმისჯილი პატიმრის ბედი დიდ შეშფოთებას იწვევს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი კანონიერებისა და წესრიგის სერიოზული დარღვევები, არაერთხელ დამოწმებული ეუთო-ს მრავალრიცხოვანი დოკუმენტებით, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და, უფრო მეტად, ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს შორის დიდ შეშფოთებას უნდა იწვევდეს. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ განახორციელოს თავისი ვალდებულება ეუთო-ს პრინციპების მიმართ. ასევე მოვუწოდებთ წევრ სახელმწიფოებს ზემოქმედება მოახდინონ საქართველოს მთავრობაზე საქართველოში ადამიანის უფლებათა პირობების გასაუმჯობესებლად.

# სპეც დანიშნულების რაზმი, პოლკოვნიკ მღებრიშვილის მეთაურობით, სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ

ანტისაარჩევნო ბლოკმა "აღსდექ საქართველო" ა.წ. 15 ოქტომბერს, 13 საათზე საქართველოს ეროვნული გმირის - მერაბ კოსტავას ეზოში დანიშნა საპროტესტო მშვიდობიანი აქცია. აქციის მონაწილეებს ეზოს შესასვლელთან პოლიციის კორდონი დახვდა.

საგულისხმოა, რომ ა.წ. 13 ოქტომბერს, მერაბ კოსტავას ტრაგიკულად დაღუპვის 6 წლისთავზე, მთელი დღის განმავლობაში, ასევე პოლიციის კორდონით იყო გადაკეტილი ეზოს შესასვლელი. პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე მიხეილ სალაძე - ოლიმპიური ჩემპიონი, პანთეონიდან დაბრუნებულ ქ-ნ ოლღა დემურია-კოსტავასთან არ უშვებდა მერაბის ახლო მეგობრებსაც კი.

15 ოქტომბერს კი საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ტელე-რადიო დეპარტამენტის შენობის წინ ტროტუარზე გადაინაცვლეს. მდუმარე აქციის მონაწილეებს ეჭირათ ტრანსპარანტები მოთხოვნებით: "ანტისაარჩევნო ბლოკი მოითხოვს საეთერო დროს", "ბოიკოტი უკანონო ხელისუფლების არჩევნებს", "ძირს შევარდნაძის პროვინციული ფაშიზმი".

ნახევარი საათის შემდეგ ტელევიზიასთან გამოცხადდა სპეციალური დანიშნულების რაზმი პოლკოვნიკ მღებრიშვილის მეთაურობით, შავი ნიღბებითა და ხელკეტებით. ახალგაზრდა ენერგიული ვაჟკაცები შესაშური სიმამაცით გაუსწორდნენ: საქართველოს დამსახურებულ მსახიობს, სამამულო ომის ვეტერანს ბ-ნ შოთა კიკნაძეს, ექიმ კლარა ვარაზიშვილს , თბილისში 1991 წლის 24 დეკემბერს დახვრეტილი ვარაზ ვარაზიშვილის დედას. აქციის მონაწილეები და ტროტუარზე ტრანსპარანტების წასაკითხად გაჩერებული მოქალაქეები მღებრიშვილის განსაცვიფრებელი ბილწსიტყვიანი ყიჟინის ქვეშ შეყარეს მის ცნობილ თეთრ "ფორდში" და საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს.

დაკავებულთა შორის იყვნენ: ეთერ მგალობლიშვილი - წმ.ილია მართლის საზოგადოების წევრი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი; ცისანა რაფავა - დევნილი ლესელიძიდან (დღესაც არ იცის თავისი შვილის ადგილსამყოფელი); ჯულიეტა მილდიანი - საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი; გურამ დანელია - ზვიადის პარტიის წევრი; თამილა ნიკოლაძე - პედაგოგი, რუსთავიდან; ჯულიეტა ლებანიძე - ინჟინერი; ცისანა რუხაძე, ეთერ ჯანელიძე, როლანდ ლაბაძე, ნიკოლოზ ვაშაკიძე, მერაბ გაწერელია.

საღამოს, უკანონოდ დაპატიმრებულებს ბ-ნმა მ.სალაძემ მიაკითხა. იგი პოლიციის უფროსის კაბინეტში, ბ-ნ ასათიანისა და სხვა პოიციელების თანდასწრებით, ქ-ნ ეთერ მგალობლიშვილს დაემუქრა, რომ თუ კვლავ ნახავს მას რაიმე პოლიტიკურ აქციაში მონაწილეს, როგორც გამოუსწორებელს, შუბლში ტყვიას დაახლის. ქალბატონმა ეთერმა გულისტკივილით ბრძანა, რომ მის მიმართ ანალოგიური მუქარა გია გულუასა და დავით ზეიკიძისგანაც სმენია და, სამწუხაროა, რომ გამოჩენილი ქართველი ფალავანი საკუთარ ჯან-ღონეს ქართველი ქალების შეურაცხყოფაში ხარჯავს.

23 საათზე დაკავებულები ვაკის რაიონის პოლიციაში გადაიყვანეს. მეორე დღეს ვაკის პოლიციაში საქართველოს ტელევიზიის მხრიდან "ტელედ[illegible]" მცდელობას დაპატიმრებულები მდუმარე ზურგშექცევით შეხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ აქვე დაკავებულებს წარუდგინეს რაღაც დოკუმენტი, რომლის თავფურცელს პოლიციის თანამშრომლები მალავდნენ, და მოსთხოვეს მასზე ხელის მოწერა. პოლიციის მესვეურთა თქმით, ეს იყო სასამართლოში წარსადგენი დასკვნა, რომლის ბოლო აბზაცშიც მითითებული იყო, რომ აქცია ატარებდა მხოლოდ ანტისამთავრობო, და არა ანტისაარჩევნო ხასიათს. დაკავებულებმა უარი განაცხადეს ამ დოკუმენტის ხელმოწერაზე და მიუთითეს, რომ თუ ეს, მართლაც, სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტია, მაშინ მას გამომძიებელი უნდა აწერდეს ხელს და არა ბრალდებულები. ამასთან, მათი აქციის ამგვარად კვალიფიცირება მიზნად ისახავს იმ ფაქტის დამალვას, რომ საქართველოში მიმდინარეობს ანტისაარჩევნო მოძრაობა.

17 ოქტომბერს 18 საათისთვის შედგა სასამართლო. აქციის მონაწილეები დააჯარიმეს (1-დან 4-ლარამდე) და გაათავისუფლეს.

# ყორბესაშვილის ოჯახი მოითხოვს სამედიცინო ექსპერტიზას

საქართველოს რესპუბლიკის
გენერალურ პროკურორს
საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის
უფლებათა დაცვის სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარეს
საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის
უფლებათა დაცვის საპარლამენტო
კომისიას
საზღვარგარეთის ქვეყნების
საელჩოებს საქართველოში
ადამიანის უფლებათა დაცვის
საერთაშორისო ორგანიზაციებს

მოგახსენებთ, რომ ა.წ. 20 სექტემბერს, გამომძიებელ ოთარ ჯაფარიძის ნებართვით, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვნახე ჩემი შვილი - გიორგი ყორბესაშვილი. რამდენადაც ძიება აქამდე მიმალავდა საქმის რეალურ ვითარებას, ჩემი შვილის ჯანმრთელობის შესახებ ვიცოდი მხოლოდ გადმოცემით. გიასთან შეხვედრისას შევნიშნე, რომ მას სხეულზე აღენიშნება მრავალი ჭრილობა: კისრის არეში (ადევს რამდენიმე ნაკერი), მარჯვენა ხელის მაჯაზე და მკლავზე, მარცხენა მკლავზე და ა.შ. ჩემი შვილი დღესაც სტრესულ მდგომარეობაშია. მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზემოქმედებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოუდგენელია მას მიემართა თვითმკვლელობის არაერთი მცდელობისთვის. თუკი ჩემი შვილი შეურაცხადია, მაშინ ის არ აგებს პასუხს თავის ქმედებაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კატეგორიულად მოვითხოვ, სასწრაფოდ ჩაუტარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩვენს მიერ მოწვეული და ჩვენი ნდობით აღჭურვილი ექიმების მონაწილეობით.

*ჲ.კარანაძე-ყორბესაშვილი*
21 სექტემბერი,
1995 წელი

როგორც გიორგი ყორბესაშვილის ოჯახის წევრები იტყობინებიან, ივლისის ბოლოს ადამიანის უფლებათა სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელმა - ბ-ნმა ნოდარ გავაშელმა, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ინახულა ეჭვმიტანილი შსს იზოლატორში, რის შემდეგაც შუამდგომლობით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას ჩაეტარებინათ პატიმრისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ახლობლებისთვის დღემდე არ არის ცნობილი, თუ როგორია გენერალური პროკურორის პასუხი.

**შეცდომის გასწორება**

დაუშვებელი დაუდევრობის შედეგად "თავისუფალი საქართველოს" 21-ე ნომერში გაიპარა შეცდომა.

ორლარიანზე გამოხატული ნოტები წარმოადგენს "აბესალომ და ეთერის" საორკესტრო შესავლის პირველ ფრაზას და არავითარ კავშირში არ არის "დაისთან", მითუმეტეს მალხაზის, და არა კიაზოს, ცნობილ არიასთან "თაო ჩემო, ბედი არ გიწერია".

რედაქცია იღებს ყველა შენიშვნას, რომელიც გამოითქვა წერილის გარშემო და გულწრფელ ბოდიშს იხდის ამ დასანანი შეცდომის გამო.

თ.ებრალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შარს ვამბობ!

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ შეიქმნა საარჩევნო ბლოკი "XXI საუკუნე - კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება - ერთიანი საქართველო", რომლის თავმჯდომარეა გაზეთის "იბერია - სპექტრი" რედაქტორი ირაკლი გოცირიძე.

ახლა ვნახოთ, რას წერს 1995 წლის 10 ოქტომბრის (N147) გაზეთი "იბერია - სპექტრი": "დრო ყველაფრის მკურნალია. ეს აქსიომაა. ეს აქსიომა, ჩვენდა საბედნიეროდ, დღესაც დადასტურდა: ბ-ნმა ე.შევარდნაძემ ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ "ქართველი ერის დაყოფის კონიუნქტურა "ზვიადისტებად" და "შევარდნაძისტებად" არა მხოლოდ უაზრობა, არამედ პროვინციულობაა". შემდგომ "იბერია - სპექტრი" განაგრძობს: "... ეს უაღრესად მნიშვნელოვანი, პოზიტიური, გონივრული და სამართლებრივი განცხადებაა, მაგრამ ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ სახელმწიფოს მეთაურმა შეიცვალა თავისი პოლიტიკური პოზიცია? უფრო მეტიც - თავისი მსოფლმხედველობა? ამას, ალბათ, მომავალი გვიჩვენებს; ახლა კი ამ განცხადებას ყველანი უნდა მივესალმოთ და იმედი ჩავისახოთ, რომ დრომ ამჯერადაც შეასრულა მკურნალის როლი - ბ-ნი შევარდნაძე განიკურნა."

ბ-ნი რედაქტორი აღტაცებულია და იმედიანია იმით, რომ შევარდნაძე განკურნებულა, თან საქართველოს მოსახლეობასაც მოძღვრავს: "ამ განცხადებას ყველანი უნდა მივესალმოთ და იმედი ჩავისახოთ"-ო. პუბლიკაციიდან ვიგებთ, რომ რეფორმატორთა კავშირის ამასწინდელ ყრილობაზე შევარდნაძისთვის სამკურნალო რეცეპტი ცნობილ მწერალსა და კრიტიკოსს ბ-ნ გიორგი გაჩეჩილაძეს გამოუწერია.

ახლა ვნახოთ რა შემადგენლობისაა "არგუმენტირებული" წამალი:

გიორგი გაჩეჩილაძე: "ბატონო ედუარდ! საქართველოში არ მეგულება ნორმალური ადამიანი, რომელიც არ აღიარებს თქვენს ნიჭს, გამოცდილებას და საერთაშორისო ავტორიტეტს, მაგრამ როგორია საქართველოს თანამედროვე რეალობასთან თქვენი ამ თვისებების შეჯახების აღქმა; ისეთივე, როგორც თქვენი წინამორბედისა? შესძლო ქართულმა ცნობიერებამ გლობალური პოლიტიკური პროცესის ხასიათსა და თქვენს შორის თანაფარდობის დანახვა?

ვერ შეძლო!

ამის გამო ქართულმა ცნობიერებამ თქვენგან შექმნა ერთის მხრივ კერპი, მეორეს მხრივ კი საფრთხობელის ორსახოვანი სიმბოლო. უფრო ადრე იგივე მოხდა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მიმართ. რაზე მიუთითებს ჩვენი თანამედროვე მსოფლმხედველობის ასეთი რადიკალური ქანქარი ორ პოლუსს შორის? - მიუთითებს ჩვენი აზროვნებისა და ჩვენი მსოფლმხედველობის სწორედ ბანალურ სტრუქტურაზე.

რა თქმა უნდა, ეს მსოფლმხედველობა ორ დღეში არ შეიცვლება, მაგრამ არჩევანის გაკეთების შანსი უკვე მოგვეცა: ჩვენ ვიმყოფებით ისტორიული არჩევანის გზაჯვარედინზე... ან უნდა ვაქციოთ საქართველო ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ, ან უნდა დავრჩეთ სხვათა ისტორიის მასალად."

სამწუხაროდ, გიორგი გაჩეჩილაძის წამალი, რომლის შეძენა ძალზედ უხარია ირაკლი გოცირიძეს, უკვე ვადაგასულია. უარესიც - ეს წამალი კი არა საწამლავია, რადგან საქართველოში უამრავ ნორმალურ ადამიანს არ სჯერა შევარდნაძის ნიჭისა, გამოცდილებისა, საერთაშორისო ავტორიტეტისა. ეს ერთი ... და მეორე: გიორგი გაჩეჩილაძე ქართულ ცნობიერებას თვლის უმდაბლესად, რადგან მან (ქართულმა ცნობიერებამ) თურმე ვერ "შეძლო ... გლობალური პოლიტიკური პროცესების ხასიათსა" და შევარდნაძეს "შორის თანაფარდობის დანახვა"

მაშასადამე, ქართული ცნობიერება "მიუთითებს ჩვენი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის სწორედ ბანალურ სტრუქტურაზე". "იბერია - სპექტრი" ეთანხმება ამ აზრს და აღტაცებულია...

ახლა ისმის კითხვა: რა არის ქართული ცნობიერების შეურაცხმყოფელ სიტყვებში სასიხარულო? განა ზნეობრივია ერთი კაცის - შევარდნაძის ქება-დიდებისთვის დაამციროს მთელი ერი და მისი ცნობიერება?

განა ქართველმა ერმა მართლა ვერ გაუგო სახ. მეთაურს? განა მთელმა საქართველომ არ იცის მისი ავან-ჩავანი და მისი პიროვნება?

როგორც ჩანს, ჩამოყალიბდა მლიქვნელობის ახალი ხერხი, როცა სიტყვათა რახარუხში, აზრის ბუნდოვნებაში თითქოს კაცს ლანძღავენ, სინამდვილეში კი აღმოჩნდება რომ აქებენ. სწორედ ამ მიზეზითაა, რომ დროდადრო ელავს და ელავს "იბერია-სპექტრის" ფურცლებზე: მადლობა ხელისუფლებისადმი გაზეთის გამოცემის აღდგენის გამო, დაშაქრული ინტერვიუ ვ.გოგუაძესთან, შევარდნაძის "პოზიტიური, გონივრული, სამართლებრივი" განცხადებები, რომელსაც თურმე უნდა მივესალმოთ და გულს იმედი ჩავისახოთ...

და ყოველივე, ბოლოს და ბოლოს, იქამდე მიდის - რაც იყო, იყო...

ასე ბატონებო, თურმე, მიუხედავად ჩვენი "ბანალური" ცხოვრებისა... არჩევანის გაკეთების შანსი უკვე მოგვეცა.

მაინც რა შანსია ასეთი?

დიახ! ეს შანსი და არჩევანი გახლავთ ერთადერთი - ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე, რომლის "გზაჯვარედინზე" უნდა გაერთიანდეს საქართველო!

პატიოსანი ქართველი კაცი აუცილებლად იკითხავს: განა საქართველო 1990 წელს არ გაერთიანდა? ნუთუ ე.შევარდნაძის "გზაჯვარედინამდე" მისასვლელად საჭირო იყო სისხლიანი რევოლუცია, სამხედრო გადატრიალება, ათასობით დახოცილი და ლტოლვილი, ქვეყნის ნგრევა, ტერიტორიების დაკარგვა, ფედერალური დაშლა, ადამიანთა წამება, ვაება და ცრემლი?

მე ამ პატიოსანი ქართველის გვერდით ვდგავარ.

დღეს ჩემს სამშობლოს უჭირს.

დღეს ჩემს ქვეყანას შხამიანი გველი ახვევია.

დღეს საქართველოში დიდი ურწმუნოება და ულმერთობა ტრიალებს...

მაგრამ ამ წყლულებით სავსე მიწაზე დადიან და დააბიჯებენ პატიოსანი ადამიანები, ჭეშმარიტი შვილები, რომელნიც მისტირიან დაკარგულ თავისუფლებას. ისინი ერთმანეთს ცნობენ, იბრძვიან. ქართული გუმანი ჯერ კიდევ თბილია და მოძრავი. გულდათუთქული ქართველების ერთობაა საჭირო! და მე ბოლომდე ამგვარ ქართველებთან ერთად ვიქნები!

ყოველივე ამის შემდგომ ვაცხადებ:

- უარს ვამბობ მოძალადეთა მიერ წინასწარ დაპროგრამებულ არჩევნებში მონაწილეობაზე!

- უარს ვამბობ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდიუმის წევრობაზე.

- უარს ვამბობ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობაზე.

- უარს ვამბობ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების წევრობაზე.

*ჯემალ დაკლიანიძე*

1995 წლის
12 ოქტომბერი

# პარალელები და პარადოქსები

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით ნიშანდობლივია კრიმინალური საქმეების გამოძიების სახელდახელოდ დაწყებული პროცესი. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა (და ეს სახელმწიფოს მეთაურმაც დაადასტურა), მოხსნილია მსოფლიო რეკორდი - 17 დღეში გახსნილია 4 ტერორისტული აქტი და კიდევ მრავალი სისხლის სამართლის საქმე. ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებული ტერორისტული აქტების სერიალიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორი მათგანი - ჩიქოვანის ქუჩაზე და იმელის ეზოში მომხდარი აფეთქებანი, რადგან სწორედ ეს ორი შემთხვევა გახლავთ ის გამონაკლისი, როდესაც თავდასხმის ობიექტი გადარჩა.

აღსანიშნავია, რომ ყველა სხვა ტერორისტული აქტი განხორციელდა სრული სიზუსტით და თანაც ცეცხლსასროლი იარაღის მეშვეობით. ნიშანდობლივია ისიც, რომ ორივე განუხორციელებელი ტერაქტი მიმართული იყო სახელმწიფო ლიდერების გასანადგურებლად, რომლებიც პრაქტიკულად ფლობდნენ და აკონტროლებდნენ ქვეყანაში არსებულ სიტუაციას. პირველი აფეთქების მოწყობა დაბრალდა "ზვიადისტებს", მეორესი კი "მხედრიონს" და უშიშროების სამსახურს, რომლის ხელმძღვანელი, რამდენიმე თვის უკან, თავისი ინიციატივით დააჯილდოვა სახელმწიფოს მეთაურმა.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ორივე ტერორისტული აქტი განხორციელდა არჩევნების წინ და მათი შემდგომირეპრესიები მიმართული გახლდათ იმ პოლიტიკური ძალების გასანადგურებლად, რომლებიც საშიშროებას უქმნიდნენ არსებულ ხელისუფლებას მოცემულ პერიოდში.

პროფესიულად განხორციელებული ტერაქტების ფონზე, ეს ორი შემთხვევა, მართლაც, ოდიოზურად გამოიყურება; ბადებს ერთგვარ პარალელებს და კიდევ უფრო წინა პლანზე წამოსწევს იმ პარადოქსებს, რომლებიც ჩიქოვანის ქუჩის საქმის გამოძიებისას მრავლად შეინიშნებოდა.

მიუხედავად გამოძიების მსვლელობაში უხეში დარღვევებისა, იურიდიული ნონსენსებისა და "დამნაშავეთა" ბრალეულობის საკითხის დაუსაბუთებლობისა, სასამართლოს განაჩენი, რბილად რომ ვთქვათ, იმდენად არაობიექტური აღმოჩნდა, რომ იგი მხოლოდ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშსწორების მცდელობად შეიძლება შეფასდეს. ამჯერად ხელისუფლებისთვის არასასურველი ძალა გახდა "მხედრიონი" და უშიშროების სამსახური, იმ განსხვავებით, რომ მათი დანაშაულებრივი არსი არავითარ ეჭვს არ ბადებს.

ყოველივე მომხდარი გვაძლევს საფუძველს კვლავ გადავავლოთ თვალი იმ ძირითად მომენტებს, რაც ჩიქოვანის ქუჩის "აფეთქებების" ბრალეულობას კიდევ უფრო საეჭვოს ხდის:

პირველ ყოვლისა, გავიხსენოთ ის განცხადებები, რომლებიც მომხდარი აფეთქების შემდეგ გააკეთეს იმჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა: თ. კიტოვანმა, ზ. ვეფხვაძემ, დ. ზეიკიძემ, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ. ამ უკანასკნელმა ისიც აღნიშნა, რომ თავდასხმა იყო არა ჯაბა იოსელიანზე, არამედ ამ პარტიის ლიდერებზე და აქვე დასძინა, რომ "ზვიადისტები" აქ არაფერ შუაშია. მოგვიანებით, როდესაც უსასტიკესი მეთოდებით სიცოცხლეს გამოასალმეს გია ჭანტურია, ამ განცხადებამ უფრო აქტუალური ხასიათი შეიძინა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორი პროკურორის განცხადება. რ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ 29 აგვისტოს ტერაქტის დროს 200 გრამი პრესირებული ტროტილი იქნა გამოყენებული, ხოლო ა. ბალუაშვილის აზრით, ჩიქოვანის ქუჩის აფეთქების დროს - 60 კგ. პროკურორი ყიფიანი იმასაც დასძენს, რომ იმელის ეზოში მომხდარი აფეთქება 10-ჯერ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ჩიქოვანის ქუჩისა. თუმცაღა აფეთქების შედეგად იმელის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ მინები ჩაილეწა, ჩიქოვანის ქუჩის აფეთქებამ კი, რომ არაფერი ვთქვათ დანგრეულ შენობებზე, 5 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ალბათ, ესეც უცნაური პარადოქსია.

არ იქნებოდა ზედმეტი, კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა, რომ "ჩიქოვანის ქუჩის" საქმის გახსნა დაევალა მხედრიონელ თ. ხაჩიშვილს, რომელიც ამჟამად არაერთი ტერორისტული აქტის მოწყობისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული. თუ აქვე იმ ფაქტსაც გავიხსენებთ, რომ 29 აგვისტოს აფეთქების შემდეგ უშიშროების სამსახურმა, მოსალოდნელი ბრალდებების თავიდან აცილების მიზნით, კანონიერი ხელისუფლების მომხრეები დააკავა (რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოუშვიათ), ვნახავთ, რომ ტერორისტული აქტების კამუფლაჟად და განტევების ვაცად უშიშროების სამსახური ყოველთვის კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერებს იყენებდა.

ჩიქოვანის ქუჩის საქმის გამოძიება ადამიანის უფლებების და პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევებით მიმდინარეობდა. იყო წამების ფაქტები და ეს დაადასტურა არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ და სასამართლომ ამგვარი ფაქტების არსებობა უარყო. თუ გავიხსენებთ ი. გიორგაძის (რომელიც შესანიშნავად იცნობს ამ სტრუქტურებს და მეთოდებს) ბოლოდროინდელ განცხადებას, რომ მის თანამშრომლებს ჩვენებები სასტიკი წამებით გამოსძალეს, ადვილი წარმოსადგენია რა მეთოდებით მუშაობდა პროკურატურა "ზვიადისტებთან". მათი მუშაობის სტილი თვით მოსამართლე მ. დოლიძის განცხადებაშიც კარგად ჩანს: "სასამართლომ აირჩია ის ჩვენებები, რომელიც ადასტურებდა დანაშაულს".

ასეა თუ ისე, წინასაარჩევნო პერიოდში სასამართლო "შებულებაშია დათხოვილი". ყველა პოლიტიკური პროცესი შეჩერებულია. მესამე ხელისუფლება, რომელიც საქართველოში ტრადიციულად ხელისუფალთა ნება-სურვილის აღმსრულებელია, ახალ კონიუნქტურულ დაკვეთას ელის.

ერთი კი ცხადია - ამ საქმის ზეწესით გასაჩივრების პასუხი იგვიანებს და სავარაუდოა, რომ ეს პასუხი მხოლოდ ე.წ. არჩევნების შემდეგ იქნება ნაკარნახევი.

*ჟჟ*

# რუსიზმი - სენი, რომელიც არავის და არაფერს ინდობს

**მათე ციხისაშვილი -**
**ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას პარლამენტის მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და განათლების კომისიის თავმჯდომარე.**

**კორესპონდენტი:** - ბატონო მათე, რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთში შემოვიდნენ რუსეთის ფედერალური ჯარები და დაიწყო საბრძოლო მოქმედებები. მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენ მოვლენათა შუაგულში იმყოფებოდით.

**მათე ციხისაშვილი:** - ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული რუსეთის შეიარაღებული ძალები აშკარად არ ფიქრობდნენ, რომ აქ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. ჩეჩენი ხალხი, როგორც ერთი კაცი, აღდგა მტრის წინააღმდეგ და საქვეყნოდ განაცხადა თავისი ნება დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა. საბრძოლო მოქმედებებმა მოიცვა ჩეჩნეთის მთელი ტერიტორია. მე ყველა ამ საბრძოლო ოპერაციის თვითმხილველიც გახლავართ და მონაწილეც. ჩვენმა ჯარებმა განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეძლეს რესპუბლიკის დედაქალაქ გროზნოსთვის წარმოებულ ბრძოლებში. ბოლო დრომდე, ჩვენი მეომრები თავგანწირვით იცავდნენ ქალაქს. გადამწყვეტ წუთებში, როდესაც მტერი რამდენიმე ასეული მეტრითღა იყო დაშორებული პრეზიდენტის სასახლისგან, თვით რესპუბლიკის პრეზიდენტი - ჯოხარ დუდაევი გავიდა პოზიციებზე და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯარს. ასეთი შემთხვევა 3-ჯერ იყო. როდესაც ხალხი ხედავდა თავისი წინამძღოლის შემართებას, თავადაც უფრო მეტი თავდადებით იბრძოდა. გადაწყვეტილი გვქონდა, ადვილად არ დაგვენებებინა მტრისთვის პრეზიდენტის სასახლის აღება. რამდენიმე დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, როდესაც რუსებმა ვერა და ვერ მოახერხეს ჩვენი წინააღმდეგობის გატეხვა, დაიწყეს ქალაქის მასირებული დაბომბვა და აკრძალული ჭურვების გამოყენება. არნახული ძალის მქონე ოთხი ჭურვი დაეცა პრეზიდენტის სასახლეს, ხოლო ორი - იქვე ახლოს მდებარე პედაგოგიური ინსტიტუტის შენობას. ჯოხარ დუდაევის ბრძანებით, ჯარმა დატოვა სასახლე და შტაბი გადავიდა ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში, საიდანაც გაგრძელდა წინააღმდეგობა. პრეზიდენტის სასახლისა და საავადმყოფოს შენობის აღება ძალიან ძვირად დაუჯდათ რუსებს. ამ ბრძოლებში მათი ჯარების საუკეთესო ნაწილები განახევრდა. ქალაქი მოიფინა რუს ჯარისკაცთა უპატრონო გვამებით.

საავადმყოფოს შენობის დატოვების შემდეგ, დადგა საკითხი: ბოლომდე დაგვეცვა ქალაქი, თუ გადაგვერჩინა მებრძოლთა სიცოცხლე, რათა ბრძოლები რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში გაგვეგრძელებინა. სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება - პრეზიდენტსა და მებრძოლთა ძირითად ნაწილს დაეტოვებინა გროზნო, ხოლო სნაიპერები და პატარ-პატარა მობილური ჯგუფები დარჩენილიყვნენ. მათ მიეცათ დავალება, განუწყვეტლივ, ყოველღამე იერიში მიეტანათ რუსების პოზიციებზე. ამოქმედდნენ დივერსიული ჯგუფები. მას შემდეგ რვა თვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ ჩვენი მებრძოლები არ დასხმოდნენ თავს მტერს, ან არ აეფეთქებინათ მათი ობიექტები ქალაქში. ასე რომ, ფაქტობრივად, ქალაქი არ დანებდა საოკუპაციო ჯარს. პარტიზანთა მოქმედებები არ შეწყვეტილა.

**კორ. - ბრძოლების ქალაქის პირობებში გამართვა რაიმე ტაქტიკური მოსაზრებებითაც იყო გაპირობებული?**

**მ.ც.** - დიახ. მოგეხსენებათ, რუსეთის შეიარაღებული ძალები, როგორც რიცხობრივად, ისე შეიარაღების ხარისხის მიხედვით, გაცილებით აღემატებოდნენ ჩვენს შეიარაღებულ ფორმირებებს. გაშლილ ადგილას ბრძოლების გამართვა ჩვენთვის დამღუპველი იყო. თანაც, დეკემბერ-იანვარში მთებში ძალიან ცივა და ამიტომ გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება დიდხანს გაგვეძლო ქალაქებში.

**კორ. - გროზნოს დატოვების შემდეგ ბრძოლები განახლდა ქალაქ არღუნთან...**

**მ.ც.** - არღუნთან ჩვენმა ნაწილებმა უდიდესი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. რუსები ფიქრობდნენ, რომ გროზნოს აღების შემდეგ, ჩვენი საბოლოო დამორჩილება დროის საკითხიღა იყო. ეს იმედი მათ გაუცრუვდათ. არღუნთან გამართულმა ბრძოლებმა ცხადყო, რომ მტერი ძლიერი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც აწარმოებდა ქალაქების და დასახლებული პუნქტების საავიაციო და საარტილერიო დაბომბვას. ქვეითი ნაწილები სრულიად უსუსურნი აღმოჩნდნენ ჩეჩენი მებრძოლების წინაშე. რუსის ჯარისკაცები ხედავდნენ მთელი ხალხის უდიდეს სიძულვილს და შეუდრეკელობას. ყოველივე ზემოთქმულს დეზორგანიზაცია შეჰქონდა მათ ნაწილებში. მიხვდა რა ამას, ჯარების ხელმძღვანელობამ დაიწყო ჩვენი ქალაქების უსასტიკესი დაბომბვა. ამ დაბომბვებმა ათასობით მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეიწირა.

მე გახლავართ ადამიანი, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა ის გააფთრებული ბრძოლები, რომელსაც ჩვენი ჯარები უმართავდნენ მტერს ყოველ სოფელთან, ყოველ დასახლებულ პუნქტთან. ვნახე ისიც, თუ როგორ აღდგა დიდი და პატარა თავისი მამულის დასაცავად. ამ ომმა დაგვარწმუნა, რომ ერთი აზრით შეკავშირებულ ხალხს ძალუძს თვით ყველაზე ძლიერი და დაუნდობელი მტრის დამარცხება. ამ ომმა ყველას დაანახვა: მითები რუსეთის არმიის დაუმარცხებლობის და უძლეველობის შესახებ, წარსულს ჩაბარდა. ჩეჩნეთის ომი მთელი კავკასიის ძალისხმევით უნდა გადაიზარდოს საერთო-კავკასიურ დაპირისპირებად რუსეთთან და, ამ შემთხვევაში, იმპერია დაემხობა.

კიდევ ბევრი ლაპარაკი შეიძლება იმ არნახული თავგანწირვის შესახებ, რომელსაც ჩვენი მეომრები იჩენდნენ. კაცს თავისი თვალით უნდა ენახა ჯოხარ დუდაევის ბრძოლა გროზნოს ქუჩებში, ან ის დაჭრილი, ყუმბარებშემორტყმული ბიჭები, ტანკებს რომ უვარდებოდნენ მუხლუხოებქვეშ. ქალაქ გროზნოს შენობებში მტერს არ ნებდებოდნენ ჩეჩენი სნაიპერი გოგონები და ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს არჩევდნენ... სხვა რომ არა იყოს რა, მხოლოდ მათი სახელებისთვის გაგრძელდება ბრძოლა მტერთან გამარჯვებამდე.

**კორ. - გაზაფხულზე მთელს ჩეჩნეთში დაიწყო პარტიზანული მოძრაობა...**

**მ.ც.** - ქალაქების დატოვების შემდეგ, იძულებულნი გავხდით გადავსულიყავით პარტიზანულ მოქმედებაზე. უნდა ითქვას, რომ პარტიზანებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები გაიმართა სოფელ შატოისთან, რომლის ასაღებად რუსებმა 40000 ჯარისკაცი დაძრეს. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ოთხი ბომბდამშენი და ათი ვერტმფრენი "კროკოდილი", 300 მძიმე ტექნიკა. შატოის დაცვა უდიდესი მსხვერპლის ფასად დაგვიჯდა. საღამოხანს რუსები შემოვიდნენ თითქმის ცენტრამდე, მაგრამ ბრძოლა ერთი წამითაც არ შეგვინელებია. ღამით უკვე ჩვენი მებრძოლები გადავიდნენ შეტევაზე. რუსები არ იცნობდნენ ტერიტორიას და უკანდახევისას ცვიოდნენ ხევებში, იჩეხებოდნენ კლდეებიდან. იმ მიდამოებში არის ერთი მდინარე - ორგ, ბევრმა სწორედ იქ ჰპოვა თავისი აღსასრული.

**კორ. - რამდენიმე სიტყვით, სამაშკიში დატრიალებული ტრაგედიის და ბამუტის ბრძოლების შესახებ...**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რუსიზმი - სენი, რომელიც არავის და არაფერს ინდობს

მ.ც. - მსოფლიომ შეიტყო იმ ვანდალიზმის შესახებ, რაც რუსებმა ჩაიდინეს ამ სოფელში. მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში აქ დახვრიტეს ას ოცი ადამიანი. სამაშკიში არავითარი ომი არ ყოფილა და დახვრეტილებიც მშვიდობიანი მოსახლენი იყვნენ. ცნობილი გახდა, რომ ოპერაციის დაწყების წინ სამხედროებს გაუკეთეს ნარკოტიკული ნივთიერება. ეს დადასტურდა მოსკოვისა და ჟენევის ლაბორატორიებში. გამხეცებული ჯარისკაცები დედებს ხელიდან სტაცებდნენ ბავშვებს და ტანკების ქვეშ ყრიდნენ.

რაც შეეხება ბამუტს, იგი გადაიქცა ჩეჩენი ხალხის უდრეკელობის სიმბოლოდ. რუსებმა ცხრაჯერ მიიტანეს იერიში ბამუტზე, მაგრამ ცხრაჯერვე უკუიქცნენ. თავად სოფელი მიწასთან გაასწორეს, მაგრამ ხალხი იცავდა ნანგრევებს. ბამუტის აღება შეუძლებელი გახდა. პოზიციები, რომელიც მაშინ გვეკავა, დღესაც ჩვენს ხელშია.

კორ. - ბატონო მათე, მას შემდეგ, რაც საბრძოლო მოქმედებანი ჩეჩნეთში შენელდა, ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში დაიწყო კანონიერების აღდგენის პროცესი...

მ.ც. - სერნოვოდსკში ერთი კვირის წინ აღვადგინეთ კანონიერი ხელისუფლება. იგივე მოხდა ვედენოში, გუდერმესში, შატოიში, სერჟენ-იურტში, გროზნოს სამ რაიონში, მრავალ სოფელში. უახლოეს ხანებში გამოცხადდება კანონიერი ხელისუფლება ასინოვკაში. ვიყავით გროზნოში და გადავწყვიტეთ პრეზიდენტის საცხოვრებელი ბინის პრობლემაც. ჯოჰარ დუდაევი მალე შევა დედაქალაქში - როგორც პრეზიდენტი.

კორ. - რახან ასინოვკა ვახსენეთ, იქნებ ორიოდე სიტყვით გეთქვათ იქ განლაგებული საფილტრაციო ბანაკის შესახებ.

მ.ც. - ჩეჩნეთში სულ სამი საფილტრაციო ბანაკია. ორი - გროზნოში, ერთიც ასინოვკაში. ჩვენი ინფორმაციით, ხალხს ყველაზე სასტიკად ასინოვკას ბანაკებში ეპყრობოდნენ. აქ მიმართავდნენ წამების განსაკუთრებულ მეთოდებს. ადამიანებს უმტვრევდნენ ძვლებს, აძრობდნენ ფრჩხილებს... უნდა ითქვას ისიც, რომ საფილტრაციო ბანაკებში ასე ექცეოდნენ არა მეომრებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობას.

მას შემდეგ, რაც იქიდან გამოსული დასახიჩრებული ხალხი ვნახე, ვერავინ დამარწმუნებს, რომ ფაშისტები უარესს აკეთებდნენ. დღესდღეობით, კაცობრიობისთვის ყველაზე საშინელი არის რუსიზმის სენი. ეს არის უბედურება, რომელიც არავის და არაფერს ინდობს საკუთარ გზაზე.

კორ. - ბატონო მათე, თქვენ ბრძანეთ, რომ მოსალოდნელია პრეზიდენტ დუდაევის დაბრუნება გროზნოში. რა რეაქცია ექნება ამაზე სალამბეგ ჰაჯიევს?

მ.ც. - სალამბეგ ჰაჯიევი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, აღარ არსებობს. იგი ახლა ცდილობს ჯოჰარ დუდაევთან კონტაქტების დამყარებას, რათა სრული პოლიტიკური სიკვდილის კვალად, ფიზიკური სიკვდილის საფრთხე მაინც აიცილოს. ყველა მოღალატე მიხვდა, რომ ადრე თუ გვიან, ამდენი ხალხის სისხლი არ შერჩებათ. ბევრი გარბის. თვით პრეზიდენტიც კი ვერ მისცემს მათ სიცოცხლის შენარჩუნების რაიმე გარანტიას.

კორ. - თქვენ ჩეჩნეთის პარლამენტის მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და განათლების კომისიის თავმჯდომარე ბრძანდებით. პირადად თქვენი მოღვაწეობა რა სფეროებს ეხება ომის პირობებში?

მ.ც. - რესპუბლიკაში შექმნილია რამდენიმე ფრონტი. მე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ზედამხედველი გახლავართ. პრეზიდენტის დავალებით, ხშირად დავდივარ საზღვარგარეთ. კრაკოვში გაიხსნა ჩეჩნური რადიოსადგური. რადიოსადგური გავხსენით კაუნასშიც. კოვალიოვთან ერთად რამდენჯერმე ვიყავი მოსკოვში, ჩეჩნეთში ჩამოვიყვანეთ უცხოეთის დელეგაციები ეუთო-დან, ევროპარლამენტიდან, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ვესწრებოდი მოსკოვსა და სხვა ქალაქებში გამართულ საპროტესტო აქციებს. შევძელით, ჩეჩნეთში ჩამოგვეყვანა იშტვან დიარმატი. ვთანამშრომლობთ მოსკოვში გამომავალ გაზეთ "ნოვაია კავკაზსკაია გაზეტა"- სთან, რომლის რედკოლეგია ძირითადად ქართველებითაა დაკომპლექტებული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ ვცდილობდით გაგვერღვია საინფორმაციო ბლოკადა და უბრძოლველად არც ეს ომი წაგვეგო. რაც შეეხება ჩემს მოღვაწეობას ფრონტის ზედამხედველის ადგილზე, შემდგომ ვისაუბროთ.

კორ. - თქვენ ბრძანეთ კონტაქტების შესახებ სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკოსებთან. ვიცით, რომ იყო გარკვეული მხარდაჭერაც მათი მხრიდან. ამ კონტექსტში, რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოს ხელისუფლების პოზიციის შესახებ?

მ.ც. - მე მაქვს საშუალება გავეცნო საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებს, ვკითხულობ პრესას. გარდა არასამთავრობო გაზეთებისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გადასცემენ სრულ დეზინფორმაციას აქაური ამბების შესახებ. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ გადასცეს ცნობა, თითქოს ჩეჩნები საქართველოში გადასვლას აპირებენ. საზღვარზე ჩააყენეს ჯარი, ვითომდაც ამ შეტევის მოსაგერიებლად. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევით არ ხდება, ზემოხსენებული ცნობა მიზანმიმართული დეზინფორმაცია გახლავთ და ჩვენი ხალხების დასაპირისპირებლად არის გამოგონილი. ყოველ ჩეჩენს, რომელიც დღეს იბრძვის, შეგნებული აქვს საქართველოს მნიშვნელობა კავკასიისთვის.

საქართველოს ტელევიზია და რადიო ოფიციალური ხელისუფლების პოზიციას გამოხატავს, ეს კი ის ხელისუფლებაა, რომელმაც დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობა. შევარდნაძე რუსების ერთგული ლაქიაა და მისგან ღირსეული პოზიციის დაჭერას არავინ ელოდა. უფრო მეტიც, გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ თვითმფრინავები, რომლებიც ჩვენს ქალაქებს ბომბავდნენ, ვაზიანის აეროდრომიდან ფრინდებოდნენ.

წყდება კავკასიის ბედი. ჩეჩნეთი ჩაბმულია ამ ბრძოლაში. საქართველოს ხელისუფლება სწორედ ამიტომ ცდილობს ანტიჩეჩნური ისტერიის გაღვივებას. საბედნიეროდ, ქართველი ხალხი არ იზიარებს უზურპატორი ხელისუფლების პოზიციას და მხარს უჭერს ჩეჩენთა სამართლიან ბრძოლას. ამის დადასტურება გახლავთ მიტინგი დედაენის ძეგლთან, რუსეთის საელჩოსთან, მრავალი პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის პროტესტი, გამოთქმული ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით. სწორედ ეს გვაძლევს იმედს, რომ საქართველო ღირსეულ ადგილს დაიჭერს კავკასიელ ხალხთა შორის და არავის დაუთმობს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ამ შემთხვევაში, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ჯოჰარ დუდაევის და საქართველოს და ჩეჩნეთის სხვა დიდი შვილების ოცნება კავკასიური სახლის შექმნისა, - აღსრულდება. ამ შემთხვევაში - იბერიულ კავკასიური მოძრაობა გაიმარჯვებს!

ესაუბრა
დ. გიგაური

# TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA) №23 (1995) in brief

## Parallels and Paradoxes

In the pre-election period especially indicative is the process of urgently started investigation of the criminal activities. According to the Minster of the Internal Affairs (and this was confirmed by the head of the State), they have broken the world record: within 17 days 4 terrorist acts and many other crimes have been uncovered. From the series of terrorist acts committed during 4 years of special interest are two of them: explosions which occurred in Chikovani street and in the yard of IMEL, since these very two cases are the exceptions when the intended victims escaped. It is noteworthy, that all other terrorist actions were committed with remarkable accuracy using the guns. It is also noteworthy, that both unsuccessful terrorist actions were aimed at extermination of the state leaders who actually were controlling the situation in the country. In the first explosion were blamed "Zviadists", while in the other - "Mkhedrioni" and Security Service, the head of which several months ago received a high reward under the initiative of the head of the State himself. Of interest is the fact, that both terrorist actions were committed before the elections and were aimed at extermination of the political forces which represented the danger to the actual authorities in that period.

On the background of other terrorist actions these two cases are indeed odious and invite certain parallels pushing to the first plane the paradoxes which were so abundant in the course of investigation of Chikobvani Street Case.

Irrespective of rough violations, juridical nonsense and failure to substantiate the guilt of the "convicts", the verdict of the Court, to put it mildly, was so biased, that could be defined as the attempt to square accounts with political opponents. Now "Mkhedrioni" and Security Service became the unwanted force for the authorities, except that this time the criminal essence of these structures is out of doubt.

All happened justifies the attempt to once more review those basic moments, which make the guilt of accused for the crime in Chikovani Street even more doubtful:

First of all, let us recall the statements, which were made immediately after the incident by the representatives of the authorities: T. Kitovani, Z. Vepkhvadze, D. Zeikidze, National-Democratic Party. This latter even emphasized that the attack was made not against Jaba Ioseliani, but against the leaders of this party and concluded that "Zviadists" had nothing to do with tat affair. later, when Gia Chanturia, the leader of National-Democratic Party was brutally assassinated, this statement acquired more pressing essence.

Of particular interest is the statement of two prosecutors. R. Kipiani noted, that during the terrorist action committed on August 29, 200 g of pressed trinitrotoluol were used, while Baluashvili believed that in explosion made in Chikovani street the amount of this substance was 60 kg. The prosecutor Kipiani added, that the explosion in the yard of IMEL was ten times more powerful than that in Chikovani street. It should be stressed though that as a result of explosion in the yard of IMEL only window glasses were crushed, while the explosion in Chikovani Street sacrificed the lives of 5 people. This also seems to be a strange paradox.

It seems reasonable to once more recall the fact, that investigation of Chikovani Street Case was committed to the member of "Mkhedrioni" T. Khachishvili, who is presently accused of committing numerous terrorist actions. If we at the same time recall, that after the explosion committed on August 29 the Security Service detained the supporters of the lawful authorities (who are not released so far) to avoid the possible charges, it will become obvious, that the Security Service always used the supporters of the lawful authorities as scapegoats to camouflage the terrorist actions. Investigation of Chikovani Street case proceeded with the rough violations of the Procedural Code and human rights. There were facts of torturing confirmed by more than one international organizations. Irrespective of this, the Prosecutor's Office and the Court denied the existence of these facts. If we now recall the present statements of I. Giorgadze (the former chief of the Security Service who is only too well informed about these structures and methods), saying that the testimonies of his staff members were obtained under tortures, one can readily imagine what methods were used by the prosecutor's office when working on "Zviadists". The style of their work is evident from the statement of Mirza Dolidze, himself: "The court has change the testimonies which were confirming the guilt." Anyway, the Court is "on vacations" during the pre-election period, all political processes are suspended. The third power, which in Georgia is traditionally the obedient servant of the authorities is waiting for a new conjuncture task. One is evident - the answer to the appealing against the sentence is delayed and it is highly possible, that this answer will be prompted only after the so-called elections.

K.K.

## The Detachment of Special Destination Under the Command of Colonel Mgebrishvili Is Against the Freedom of Word

Certain part of political parties and organizations consider boycotting of unlawful elections as one of the forms of peaceful struggle against the policy of repression conducted by the authorities.

Anti-election block "Rise, Georgia" appointed a protest peaceful action in the yard of the national hero of Georgia Merab Kostava on October 15 at I p.m. The participants of the protest action were met by a cordon of policemen.

It is noteworthy, that on October 13, 1995 on the 6 year anniversary of his tragic death. The police cordon kept the entrance into the yard blocked during the whole day. Deputy chief of the head of Police Department David Saladze refused to let in even the close friends of Merab Kostava who came to see his mother Mrs. Olga Demuria-Kostava, who has returned from the pantheon. The participants of the protest action moved to the stairs in front of the building of the Teleradiodepartment. The participants of the silent action were holding slogans saying: "Anti-election Block Demands the Time at TV", "Boycott to the Elections", "Down with Shevardnadze's Provoncial Fascisism".

Half an hour later, to the building of Teledepartment arrived the Detachment of Special Destination under the command of Colonel Mgebrishvili. They were wearing black masks and truncheons. Young, powerful men with enviable bravery beat honored artist of Georgia Mr. Shota Kiknadze, Doctor Klara Varazishvili, the mother of Varaz Varazishvili (participant of the events of April 9, who was shot down on December 24). Under the accompaniment of revolting ribaldry of -Mgebrishvili, the participants of action and the passers-by who stood to read the slogans on the street were forced into the well-known white "Ford" of Mgebrishvili and taken to Saburtalo Police Department. Among those retained were: Eter Mgaloblishvili, the member of St. Ilia Righteous, Candidate of Philological Sciences, Tsisana Rapava, refugee from Leselidze (she is still unaware of her son's whereabouts), Julietta Mildiani, member of Georgian Helsinki Union, Guram Gabunia, member of "Zviadi's Party", Tamila Nikoladze, teacher from Rustavi, Julietta Lebanidze, an engineer, Tsisana Rukhadze, Eter Janelidze, Roland Labadze, Nikoloz Vashakidze, Merab Gatserelia.

People who were unlawfully arrested were visited by Mr. D. Saladze. In the study of the Head of the Police Department in the presence Mr. Asatiani and other policemen threatened Mrs. Eter Mgaloblishvili, that if he saw her again to participate in any political action he would shoot through her head. Mrs Mgaloblishvily sadly answered that she had already heard such threats from Gia Gulua and David Zeikidze and she was very pity that an outstanding wrestler of Georgia used all his physical might to assault Georgian women.

At 11 p.m. the detained were transferred to the police department of Vake district. On the next day the attempt of "teleinterrogatin" made by the workers of the Television Department who came to the Vake District Police Department, was met by a silent protest of the detained who had shown their backs to them. It is noteworthy, that the detained were presented with some document to be signed by them the heading of which the policemen were hiding from them. According to the police bosses it was a conclusion to be presented to the Court, the last paragraph of which was saying that the action was of ant-governmental rather than anti-election nature. The detained refused to sign this document and noted that provided this document is really intended to be presented to the Court, then it must be signed by the investigator, not by the defendants, At the same time they claimed that such qualification of their action is aimed to hush-hush the fact that in Georgia exists anti-election movement.

On October 17, by 6 p.m. the detained were trailed. The participants of the action were sentenced to payment of fine (from 1 to 4 laris) and then released. The detained refused to pay the fine.

*To: The Prosecutor General of the Republic of Georgia Mr. J. Babilashvili;*
*Deputy Prosecutor General of the Republic of Georgia Mr. A. Baluashvili;*
*Investigator of the Prosecutor's Office of the Republic of Georgia Mr. O. Japaridze.*
*Chairman of the State Committee for Human Rights of theRepublic of Georgia Mr. S. Kavsadze;*
*ll-Georgia Human Rights Association;*
*Parliamentary Commission for Human Rights of the Republic of Georgia;*
*US Embassy in Georgia;*
*German Embassy in Georgia;*
*Representative Office of International Red Cross Organization in Georgia;*
*Representative Office of UNO in Georgia;*
*Representative Office of Eurocouncil in Georgia;*
*Human Rights International Organizations*

This is to inform you that on September 20, 1995 with the permission of investigator Otar Japaridze I was allowed to see my son Giorgi Korbesashvili in Prison Republican Hospital. Since the investigator did not inform me about the actual health state of my son I had only the vague impression about it. When meeting my son I have noticed that he had multiple injuries on his body: in neck area he has a suture, he has wounds on the right and left hands etc. My on is still under the stress condition. I have a strong impression that he was subjected to significant physical and psychological pressure. Otherwise it was impossible for him to make several attempts of suicide. If my son is insane, then he cannot be demanded to bear responsibility for his actions. Proceeding from the above said I categorically demand to subject him to the forensic medical expertise with the participation of the doctors whom we shall invite and have trust in.

V. Karanadze-Korbesashvili
September 21, 1995

As the members of Giorgi Korbesashvili family are reporting the representative of the State Committee for Human Rights Mr. Nodar Gvishiani under their demand saw the suspect in the Isolation Cell of the Ministry of Internal Affairs and entered a motion to the Prosecutor's Office of the Republic of Georgia requiring to provide forensic medical expertise of the prisoner. The relatives of the prisoners are not so far aware of the answer of the Prosecutor General.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia